ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2313208

ნომერი: AR1357883

თარიღი : 19.11.2015

გაცემის თარიღი : 27.11.2015

გაცნობის თარიღი : 28.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა 9 აპრილი , N 3 (ყოფ. ჩიტაძის N3)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაძე , N 5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. N3 (ყოფ. ჩიტაძის N3)/ჩიტაძის ქ. N5/ინგოროყვას ქ. N17/ინგოროყვას ქ. N19-ის მიმდებარედ/ინგოროყვას ქ. N19-ში I კლასის სამუშაოებზე წერილობითი ნებართვის გაცემის საკითხს.

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების მუხლი 39–ის პუნქტი 12-ის თანახმად, "აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის საზღვრებზე ღობის (მესერი, ლითონის ბადე და სხვ.) მოწყობა, თუ ეს განსაზღვრული არ არის თავდაპირველი საპროექტო დოკუმენტაციით."

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ განმცხადებელს, მოქ. დავით ლოსაბერიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.